პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 172 (10566)

ხუთშაბათი, 26 ივლისი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ციმბირის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი (1-ლი გვერდი).

ა. კრაინსკი. — სიახლე მანქანათმშენებლობაში (მე-2 გვერდი).

ნ. ვარდოსანიძე. — ასე მუშაობს ოთარ ადეიშვილი (მე-2 გვერდი).

ი. ჭუმბურიძე. — უფრო ხშირად მოვაწყოთ მოწინავეთა შეხვედრები (მე-2 გვერდი).

ვ. ჯალაღანია, ს. ხარაზიშვილი. — ოსტატის სიხარული (მე-2 გვერდი).

მეტალურგის დღე (მე-2 გვერდი).

თვითეული კომბაინი მოუცდენლად უნდა მუშაობდეს. — ს. ქოჩლაძე. — გავაძლიეროთ მკის ტემპი. გ. ზირაქაშვილი. — იქ, სადაც მოსავლის აღების ბედი წყდება. (მე-3 გვერდი).

სოციალისტური სისტემის ქვეყნების ურყევი ერთიანობა. — „პრავდა“ [illegible] (მე-3 გვერდი).

მ. შანიძე. — ბერნარდ შოუ (მე-4 გვერდი).

თურქმენეთის ხალხური ცეკვის ანსამბლი თბილისში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ დავეხმაროთ მრეწველობის ნოვატორებს

ᲓᲦᲔᲡ თბილისში ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შედგება მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა რესპუბლიკური შეკრება. შეკრებაზე წარმოგზავნილნი არიან რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის ასობით ნოვატორები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით აჩქარებენ ჩვენი დიადი მიზნის მიღწევას — კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანების რესპუბლიკური შეკრების ამოცანა ის არის, რომ მათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი შესანიშნავი გამოცდილება შრომის ნაყოფიერების ზრდის მისაღწევად ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისების საქმეში, მუშაობის ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაში, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის წარმოების მრავალი ახალი რეზერვის გამოვლინებაში.

რესპუბლიკაში ცნობილია ჩვენი შესანიშნავი ადამიანების, წარმოების ნოვატორების — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატის ილია ჭუმბურიძის, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს მთავარი ოსტატის ვახტანგ კობერიძის, მეფოლადე ამირან ფანცულაიას, ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველის ივანე ორჯონიკიძის, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველის მაგდან ბურჯანაძის, ჭიათურის დიმიტროვის სახელობის ბაღაროს მბურღავის კარპეზ ნადირაძის და სხვა მრავალთა სახელები.

ამჟამად კომუნისტური პარტია, XX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, მთელი საბჭოთა ხალხის, პირველ რიგში მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმიის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ უზრუნველყოთ ენერგეტიკის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური და სატყეო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარება. შობლიური კომუნისტური პარტია მოითხოვს, რომ სწრაფი ტემპით ვითარდებოდეს სოციალისტური ინდუსტრიის გული — მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით ჩარხმშენებლობა და საბჭედლო-საწნეხი მანქანების წარმოება, შეუნელებლად ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ზრდა წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, ფართოდ ვნერგავდეთ სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკას.

გრანდიოზული ამოცანები დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე მრეწველობის შემდგომი აღმავლობა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მოძველებული მოწყობილობის შეცვლა და მოდერნიზაცია, წარმოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ განვითარება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მრეწველობის დიდი რეზერვების გამოვლინება, არსებული მოწყობილობისა და საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენება, მეექვსე ხუთწლედის, კერძოდ, მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება თვითეული საწარმოს მიერ ყველა მაჩვენებლის მიხედვით მოითხოვს მრეწველობის მუშაკთა დაუღალავ შემოქმედებითს შრომას.

განვლილი ნახევარი წლის შედეგები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში მიღწეულია პირველი შესანიშნავი წარმატებანი. 6 თვეში სოციალისტურმა მრეწველობამ მოგვცა 12 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. გაცილებით უკეთ მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები. ეს წარმატებანი მოპოვებულია იმის შედეგად, რომ მრეწველობის მუშაკები, ჩვენი ნოვატორები ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის, კერძოდ, სოციალისტური მრეწველობის შემდგომი ძლავრი განვითარების შესახებ.

აი ზოგი იმათგანის სახელი, ვინც თავისი თავდადებული შრომით უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ძლავრ აღმავლობას. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ნოვატორმა ხარატმა პავლე ზუბრიცკიმ შექმნა ხელსაწყო, რომლის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ჩარხიდან დეტალის ავტომატურად მოხსნა, რის შედეგადაც 90 პროცენტით შემცირდა დეტალის დამუშავებისათვის საჭირო დამხმარე დრო, გადიდდა ე. წ. სამანქანო დრო. ამან დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას.

ჭიათურის დიმიტროვის სახელობის ბაღაროს ელმბურღავმა კარპეზ ნადირაძემ შეიმუშავა შპურების ღრმა ბურღვის საკუთარი მეთოდი, რომელიც ფართოდ ინერგება მთელ სამთამადნო მრეწველობაში და ერთიორად და უფრო მეტად ადიდებს მადნის მონგრევას.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე ხარატმა მირდათ აკოფოვმა დაუღალავი შემოქმედებითი შრომით მიაღწია იმას, რომ სახარატო დაზგის წარმადობა გაადიდა რვაჯერ. ჩვენს მრეწველობაში მრავლად არიან ასეთი შესანიშნავი ადამიანები — წარმოების ნოვატორები, რომელთა მდიდარი საწარმოო გამოცდილების ფართოდ და უსწრაფესად გავრცელება მთავარი ამოცანაა.

მიუხედავად დიდი მიღწევებისა მრეწველობის განვითარებაში, რესპუბლიკის ყველა საწარმო ვერ ასრულებს გეგმებს პროდუქციის ასორტიმენტისა და სახეების მიხედვით. ამავე დროს საწარმოთა მუშაობაში ვხედებით იერიშობანას. ყველა ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, მაღაროა, სარეწი როდი ასრულებს გეგმებს, ყველა საწარმო როდი მუშაობს რიტმულად, თანდათან მზარდი მაჩვენებლებით. მთელი რიგი საწარმოები განაგრძობენ დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას.

მრეწველობის ზოგიერთი მუშაკი ყურადღებას არ აქცევს წარმოების ეკონომიკის საკითხებს. ამის შედეგია ის, რომ მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს, დიდია დანახარჯები, ვხედებით უყაირათობას, დანაკარგებს, წუნს, ზარალს.

მრეწველობის მოწინავე ადამიანების მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელებით, საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზების გაბედული მხილებით და მოწინავეთა დონემდე მათი ამაღლებით უნდა მივაღწიოთ 1956 წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

ზოგან ჯერ კიდევ არ ეხმარებიან ნოვატორებს, ზოგჯერ უგულებელყოფენ მათს წინადადებებს, არ უპასუხებენ კანონიერ მოთხოვნებზე, სდუმან, რაც შეუწყნარებელია.

სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ გაუხსნან გზა ნოვატორთა მოძრაობას, დაეხმარონ, ხელი შეუწყონ წარმოების მოწინავე ადამიანებს მრეწველობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის, ამ გამოცდილების საყოველთაო კუთვნილებად გადაქცევისათვის.

ეს არის ახლა მთავარი, ამას უნდა მივაპყროთ მთელი ყურადღება!

მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): ტყიბულელი შახტმშენებელი, კალატოზთა ბრიგადირი დ. ბაღდავაძე, ჭუთაისელი ხარატი მ. გუჟვა, თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ბრიგადირი გ. პოპოვა, გუმათჰესელ მებეტონეთა ბრიგადირი დ. მესხი, ჭუთაისის მაუდის ფაბრიკის მრთველი მ. მოდებაძე, სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ბრიგადირი ც. ახობაძე, ტყიბულჰესელი გვირაბმშენებელი ლ. გელაშვილი, სოხუმის ელექტროქსელის უბნის ოსტატი ნ. პეტროზაშვილი, ბათუმის მეხუთე საერთო-სამშენებლო ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელი რ. ჭოხონელიძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲝᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲯᲕᲔᲑᲘᲗ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივს ეჯიბრება და მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, მორიგი წარმატება მოიპოვა: 20 ივლისისათვის შეასრულა მარგანეცის სასაქონლო მადნის დამზადების შვიდი თვის დავალება.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი პირველ აგვისტომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემს 2.000.000 მანეთისაზე მეტ პროდუქციას.

ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). ზემო ჭალადიდის მალეწყოვის სახელობის კოლმეურნეობა წელს რაიონში სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია.

აღნიშნული კოლმეურნეობის წევრები იბრძვიან აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მათ დროზე და ხარისხოვნად დათესეს სიმინდი დაგეგმილ 250 ჰექტარზე, მინდრად გაიტანეს 1.000 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი, გაიყვანეს წყალსაწრეტი თხრილები, აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარეს სიმინდის პირველი კულტივაცია გათოხნით. ამჟამად დასასრულს უახლოვდება მეორე თოხნა. მალე დაიწყებენ ნათესების ხელოვნურად გამოკვებას ნაკელის წუნწუხით 50 ჰექტარზე. კოლმეურნეებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილმა ლექციამ „როგორ მივიღეთ სიმინდის უხვი მოსავალი“, რომელიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წაიკითხა მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. პაპავაძემ. ისინი ითვალისწინებენ წილკნელთა მაგალითისამებრ შეამცირონ დანახარჯები ცენტნერი სიმინდის მოყვანაზე, გამოიყენონ სიმინდის ხელოვნური დამტვერვა და სხვ.

სიმინდის ყანები აქ შესანიშნავია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეექვსე ბრიგადის მუშაობა (ბრიგადის ხელმძღვანელია ფ. სიჭინავა). 32 ჰექტარი ყანა, რაც მსახლეა მოსავლელად მიჩენილი, ადამიანის სიმაღლემდეა გაზრდილი. მოწინავე კოლმეურნეები ი. წურწუმია, ხ. ბაღუშვილი, ო. ჯანაშვილი, ს. აკოფოვი და სხვები გულდასმით უვლიან მიჩენილ ნაკვეთებს.

ზემოჭალადიდელები წელს იბრძვიან თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი სიმინდის მოყვანისათვის.

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

25 ივლისი

ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Ფ. ᲮᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ „კომუნარის“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 16 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. ჰექტარზე გალეწა 20,5 ცენტნერი ხორბალი.

Გ. ᲒᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 17 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. ჰექტარზე გალეწა 24 ცენტნერი მარცვლეული.

ᲙᲐᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Გ. ᲛᲝᲚᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ კარგად ამუშავებს თვითმავალ კომბაინს სოფელ არაშენდას კოლმეურნეობაში. პურეული მომკა 15 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. ხორბლის გამოსავლიანობა ჰექტარზე 30 ცენტნერს შეადგენს.

Ა. ᲤᲐᲠᲘᲓᲬᲘᲨᲕᲘᲚᲘ სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 28 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 26 ცენტნერი მარცვლეული.

Ვ. ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ თვითმავალი კომბაინით სოფელ ზიარის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 18 ჰექტარზე და ამით დაწესებულ დღიურ ნორმას 10 ჰექტარით გადაჭარბა. ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობა 19 ცენტნერს შეადგენს.

Ნ. ᲤᲐᲠᲘᲓᲬᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ მუშაობს სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან 29 ჰექტარი მომკა და ჰექტარზე 22 ცენტნერი მარცვლეული გალეწა.

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ ᲛᲢᲡ-ᲨᲘ

Ს. ᲘᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ სოფელ ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად მოსავალს იღებს 24 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. იგი ჰექტარზე ლეწავს 15 ცენტნერ ხორბალს.

Ა. ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ სოფელ ახმეტის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით პურეულის მოსავალი აიღო 17 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე გალეწა 14 ცენტნერი.

Გ. ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 15 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. ჰექტარზე გალეწა 15 ცენტნერი ხორბალი.

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ამას წინათ დამთავრდა ხაშურის პურის საცხობი ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია და მექანიზაცია, რაზეც ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯა.

რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხანას შეემატა ახალი შენობა. დაიდგა ორი ახალი მარკის ღუმელი, რომელთა წარმადობაა დღეღამეში 18 ტონა გამომცხვარი პური.

ქარხანაში განხორციელდა ავტომატიზაცია. დაიდგა საცრელი, ცომსაზელი, ცომსაჭრელი მანქანები.

ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲔᲑᲘᲡ, ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲜᲝᲕᲝᲡᲘᲑᲘᲠᲡᲙᲘ, 24 ივლისი. (საკ-დესი). მეორე დღეა აქ მიმდინარეობს ციმბირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. განხილავენ რა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მ. ა. იასნოვის მოხსენებას, სოფლის მშრომელები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ ყველაფერი გააკეთონ, რათა უახლოეს წლებში შექმნან ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვე, აღნიშნავენ ჯერ კიდევ ბევრი და სერიოზული ნაკლის არსებობას, შეაქცეთ წინადადებანი, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ უხვი მოსავლის აღებისათვის, მარცვლეულის ჩაბარების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის ეკონომიური ზრდის შესახებ ილაპარაკა თათბირზე ალტაის მხარის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ამხ. ა. ტ. კონდრაშინმა.

— უკანასკნელ ორ წელიწადში, — თქვა მან, — ჩვენი მეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 20 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ხოლო განუყოფელმა ფონდმა 8 მილიონ მანეთს მიაღწია. ამან შესაძლებლობა მოგვცა მარტო მშენებლობასა და მექანიზაციაზე შარშან დაგვეხარჯა მილიონნახევარი მანეთი.

ორატორი ამბობს, რომ წელს სახელმწიფოს ჩაბარდება სულ ცოტა მილიონი ფუთი პური.

ათ მილიონ ფუთ პურს, გეგმით გათვალისწინებული შვიდი მილიონი ფუთის ნაცვლად, ჩაბარებს წელს სახელმწიფოს ომსკის ოლქის რუსკაია პოლიანას რაიონი. ასეთი უდიდესი მოსავალი, ამბობს სკკპ რაიკომის მდივანი ამხ. მ. ნ. სკიდსკი, შესაძლებელი გახდა ახალი მიწების ათვისების მეოხებით. იმისათვის, რომ ყამირზე პურეული მთლიანად და უდანაკარგოდ აიღონ, რაიონის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ, რათა ფართოდ გამოიყენონ მოსავლის ცალცალკე აღების ხერხი, უნარიანად შეინახონ მარცვალი ადგილზე.

ამხ. სკიდსკიმ განაცხადა, რომ მარტო ერთი რაიონის მაგალითით ჩანს, თუ რამდენად ბრძნულად მოიქცა პარტია, როცა გადაწყვიტა დაეწყო ყამირი მიწების ათვისება. ამხ. სკიდსკის ამ განცხადებას დამსწრენი მოწონებით შეხვდნენ.

გუშინდელ და დღევანდელ სხდომებზე გამოითქვა ბევრი კრიტიკული შენიშვნა რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მისამართით.

დღეს კამათში გამოვიდნენ მინისტრები ამხ. პ. ი. მოროზოვი და ამხ. გ. ს. ხლამოვი, რომლებმაც აღიარეს შენიშვნების სისწორე და განაცხადეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სკკპ ნოვოსიბირსკის ოლქის კომიტეტის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ვ. კორობეინიკოვი აღნიშნავს სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი სისტემის უპირატესობებს.

— ჩვენ მოგვეცა ინიციატივა, — ამბობს იგი, — და უკეთ გავითვალისწინეთ აღგილობრივი პირობები და შესაძლებლობანი. ახლა მინდვრებში კარგი მოსავალი მწიფდება. რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს ორ მილიონ ფუთზე მეტი პური.

ამხ. კორობეინიკოვი ლაპარაკობს კულუნდის ველის შორეული რაიონის — კოჩკის რაიონის საჭიროებებზე. რაიონს სუსტი ენერგეტიკული ბაზა აქვს, ხოლო საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურის მშენებლობა წლითწლობით ჭიანურდება პროექტის უქონლობის გამო.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ტიუმენის ოლქის კოლმეურნეობა „პობედის“ მწველავის 19 წლის აგრიპინა ლისოვას გამოსვლა. დაახლოებით ერთი წლის წინათ სკოლიდან მოვიდა იგი მეცხოველეობის ფერმაში და მოკლე ხანში თავისი საქმის ოსტატი გახდა. პარტიის XX ყრილობის გახსნისათვის ლისოვამ ვალდებულება იკისრა მისთვის მიჩენილი თვითეული ძროხისაგან მიეღო 700 ლიტრი რძე, მიიღო კი 780 ლიტრი. გაზაფხულზე ახალგაზრდა მწველავმა იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულება — მიეღო წელიწადში თითო ძროხაზე 2.600 ლიტრი რძე. ციმბირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის დღისათვის მწველავის ანგარიშზე იყო უკვე დაახლოებით 2.100 ლიტრი. ამხ. ლისოვამ პირობა დადო წლის ბოლომდე თვითეულ ძროხაზე მიიღოს 3.300 ლიტრი.

მოხსენების გამო კამათში თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრი ამხ. ვ. პ. მილარშჩიკოვი, რუსეთის სფსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრი ნ. ი. სმირნოვი, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ტ. ა. იურკინი და სხვები.

თათბირის დასასრულს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. მისი სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ერთსულოვნებით მიიღეს მიმართვა ციმბირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, რომლითაც ვალდებულებას კისრულობენ წელს სახელმწიფოს ჩაბარონ სულ ცოტა ერთი მილიარდი ფუთი პური და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

გარეუბნის რაიონის თელეთის მტს-მა, რომელიც მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში ძარტყოფის მტს-ს ეჯიბრება, 23 ივლისისათვის 101 პროცენტით გაანადგა პურეულის ძალა გეგმა. მტს-მა გადაჭარბებით შეასრულა მოსავლიანობის გეგმაც. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 15 ცენტნერი მარცვლეული.

დღეს საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე თბილისში, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის პროსპექტი, 182) შედგება მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა რესპუბლიკური შეკრება.

შეკრების მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს დღეს დილის 9 საათიდან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში — გრიბოედოვის ქ. № 19, მეორე სართული, ოთახი № 52. ტელეფონები: 3-06-85, 3-15-20 — დამატებითი 98.

საორგანიზაციო კომიტეტი.

მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავეენო, ახალ წარმატებებს მოელის თქვენგან საბჭოთა სამშობლო!

ახმეტის სატყეო მრეწველობის მეურნეობაში. ჯამბურის უბანზე მომუშავე მოწინავე ტყისმჭრელები ვ. უშიკაშვილი და ზ. მუსტაფაევი მორების–ხერხვისას ელექტროხერხით. ყოველი ასეთი ხერხი ცვლის 10 მუშა–საათ ზოგავს.

★ ★ ★

უფრო ხშირად მოვაწყოთ მოწინავეთა შეხვედრები

ამას წინათ ბათუმიდან წერილი მომივიდა. ავტორი, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა ხარატი მიხეილ რუზიაკი მწერდა, რომ მან გადაწყვიტა დეტალების დასამუშავებლად ქარხანაში პირველმა გამოიყენოს კერამიკული საჭრისი და მთხოვდა გამეგზავნა კერამიკული ფირფიტის მექანიკურად დამჭერის ნახაზი.

ამხ. მ. რუზიაკი ამ ცოტა ხნის წინათ ეხსრებოდა ახალგაზრდა ხარატების სკოლა–შეკრებას ქუთაისში. სწორედ აქ, როდესაც მე პრაქტიკულად ვუჩვენებდი ახალგაზრდებს ლითონის დამუშავებისათვის კერამიკული საჭრისების გამოყენების უპირატესობას და მუშაობის ხერხებს, ყველანი დაინტერესდნენ ამ პროგრესული საჭრისის გამოყენებით და ბევრმა, მათ შორის, ეტყობა, რუზიაკმაც, გადაწყვიტა დანერგოს პრაქტიკაში ასეთი საჭრისებით მუშაობა. უახლოეს დღეებში ჩვენი ქარხნის კოლექტივი ბათუმელ მანქანათმშენებლებს გაუგზავნის ათ ნახაზს.

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრებს და აზრთა ურთიერთ გაზიარებას შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელებისათვის. ამავე დროს იმ მრავალი შეხვედრის შედეგად, რაც ამ უკანასკნელ ხანებში მქონდა სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ქალაქში, ნათელი გახდა, რომ ხარატების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ იცნობს ისე, როგორც საჭიროა მოწინავეთა გამოცდილებას, შრომის ნოვატორულ მეთოდებს — კერძოდ კერამიკული საჭრისებით მუშაობის ხერხებს. ამაში ბრალი მიუძღვით არა თვით ხარატებს, არამედ მათი საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებიც ნოვატორთა გამოცდილებას ფართო მასების საკუთრებად გადაქცევის საქმეს ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ.

მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნოვატორთა სკოლებს. ჩვენს ხაჰქროში ასეთი სკოლები რეგულარულად მუშაობენ. ამჟამად ნოვატორთა სკოლაში გაერთიანებულია 8 ახალგაზრდა ხარატი. ესენი არიან ე. კობახიძე, ზ. აბესაძე, ა. ერემეიჩიკი და სხვები. მეცადინეობის პერიოდში ისინი იმალლებენ კვალიფიკაციას, ეცნობიან ნოვატორთა მიღწევებს, მათი მუშაობის ხერხებს, იმდიდრებენ როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ ცოდნას.

ჩვენს ქარხანაში მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის ყოველდღიურმა ზრუნვამ ის შედეგი გამოიღო, რომ ამჟამად სახარატო-მექანიკურ საამქროში არ არის მუშა, რომელიც გეგმას დიდი გადაჭარბებით არ ასრულებდეს, არ იყენებდეს ლითონის ჩქარისნული და ძალისხმური ჭრის მეთოდებს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა ხარატის ვ. კურტოღლის მიღწევა. მან შეძლო გამოჩენილი ძალისხმი ნოვატორის კოლესოვის საჭრისის გამოყენება მოძველებული ტიპის ჩარხზე და საუკეთესო შედეგებს მიაღწია.

ამ მოწინავე მეთოდებს საამქროში იყენებენ არა მარტო ხარატები, არამედ სხვა პროფესიის მუშებიც. ჩქარისნული და ძალისხური ჭრის მეთოდით ბრტყელზედაპირიანი დეტალების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მოწინავე მღარავმა გ. ლაბაურმა. კარგ შედეგებს აღწევს აგრეთვე ახალგაზრდა მღარავი ბ. ბოჭორიშვილი.

კიდევ მრავალი მოწინავე ადამიანი მუშაობს ჩვენს ქარხანაში. ყველა იცნობს გამოჩენილ მჭედელს კოსტა ილურიძეს, ხარატებს ვახტანგ ბაისონაშვილს და ალექსანდრე მარგველაშვილს, ზეინკალ ხაბა ამირანაშვილს. ისინი ყველანი დღეს მრეწველობის მოწინავე ადამიანთა რესპუბლიკურ შეკრებაზე მოვლენ, რათა ახალი გამოცდილება მიიღონ.

ასეთ შეკრებებს ჩვენში, ხამწუხაროდ, იშვიათად იწვევენ. მათ კი დიდი ხარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ამიტომ, ვფიქრობ, ცუდი არ იქნება, თუ მოწინავე ადამიანთა შეკრებებს, თუნდაც დარგების მიხედვით, უფრო ხშირად მოვიწვევთ. ასეთი შეკრებები ნოვატორთა აღზრდის საუკეთესო სკოლაა.

ი. ჯუმბურიძე,
თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის ნოვატორი ხარატი.

მეტალურგის დღე



აპარატები ავტომატურად აღნიშნავენ რთული ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობას ბრძმედში. ციფრებითა და ფერადი ნიშნებით სავსე მთავარი სახაგნალო შუქსვეტი ოსტატებს ანიშნებს, თუ რა მდგომარეობაა ღუმელში. აი ჩამოუარა საბრძმედე საამქროს მთავარმა ოსტატმა ვახტანგ კობერიძემ ხელსაწყოებს. საზომი და საკონტროლო აპარატები უჩვენებენ, რომ ბრძმედში დნობა ნორმალურად მიმდინარეობს, რომ საჭიროა ცოტა პაერის მიმატება, და ისიც უმატებს.

...ნაყოფიერად დაამთავრა მუშაობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს დილის ცვლამ.



დღის ბოლოს მთავარი ოსტატი კობერიძე ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკისაკენ გაეშურა. მისვლისთანავე ბიბლიოთეკარმა გოგონამ მარია დრონოვამ ახალი ლიტერატურის მიღება ახარა. კმაყოფილი კობერიძე მასთან ერთად შეუდგა წიგნების არჩევას. ეს წიგნები და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება ეხმარება ხახელგანთქმულ მებრძმედე-ნოვატორს თავისი წვლილი შეიტანოს საბრძმედე წარმოების განვითარებაში. იგი მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

პირველ ხანებში ლითონის ჩამოსხმის შემდეგ ღუმელში დარჩენილ თუჯსა და წიდას უშვებდნენ ერთ ციცხვში, რომლის კედლებსაც ზედ ეკვრებოდა გაცივებული მასა. ლითონის დანაკარგი დიდი იყო. ვახტანგ კობერიძემ გაიყვანა შემოსავლელი არხი, სადაც ახლა წიდა და თუჯი იყოფა. თვითეულ დნობაზე სულ ცოტა 100 კილოგრამი თუჯი იზოგება. ეს კი წლიურად ქარხანას 234 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს. — ასეთი შედეგი გამოიღო კობერიძის ერთ-ერთი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებამ.

ეხიამოვნა ოჯახის მამას, როცა მახინჯაურის პიონერთა ბანაკიდან შინ დაბრუნებული ბიჭუნები — ედუარდი და იური ყელზე შემოეხვივნენ. აი ახლა ზის იგი თავის ოჯახში და სიამით ისმენს ბავშვების ნაამბობს ბანაკში გატარებული დღეების შესახებ.

ტექსტი ს. ყანდარელისა,
ფოტო ვ. გინზბურგისა.

ასე მუშაობს ოთარ ადეიშვილი

ქუთაისის ავტომობილმშენებელ ქარხანაში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეს წარმოადგენს, მრავალი ნოვატორი მუშაობს. მათ შორის არის ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს მღარავი ოთარ ადეიშვილი. მან საჭელი გაითქვა იმით, რომ მის განკარგულებაში გადაცემული საღარავი ჩარხების წვრილმან შეკეთებას თვითონვე ახდენს, ამით დროს იგებს, საწარმოსაც მნიშვნელოვან ეკონომიას აძლევს.



ო. ადეიშვილი მუშაობის დროს.

ამას წინათ ვერტიკალურ საღარავ ჩარხს, რომელზეც ამხ. ადეიშვილი მუშაობს, მოულოდნელად მოეშალა სიჩქარეთა კოლოფი. იგი იძულებული გახდა ჩარხიდან მოეხსნა დასამუშავებლად გამართული დეტალი და გაეგო, თუ რამ გამოიწვია სიჩქარეთა კოლოფის მწყობრიდან გამოყვანა. ასეთ შემთხვევაში მღარავი, ჩვეულებრივად, გამოუძახებს სარემონტო ბრიგადას.

ადეიშვილმა კი, დროის მოგების მიზნით შეამოწმა თავისი დაზიანებული ჩარხი, შეაკეთა მოშლილი სიჩქარეთა კოლოფი და საათნახევრის შემდეგ ჩარხი ხელახლა აამუშავა. მაგრამ თუ იგი სარემონტო ბრიგადას გამოუძახებდა, ჩარხის დაზიანებული კვანძის შეკეთებას სულ ცოტა 8 საათი დასჭირდებოდა. როგორ მოახერხა ადეიშვილმა 8 საათში გასაკეთებელი საქმის საათნახევარში გაკეთება?

მოახერხა იმიტომ, რომ საუკეთესოდ აქვს ათვისებული ტექნიკა. ამან საშუალება მისცა მას დაუყოვნებლივ გამოეცნო სიჩქარეთა კოლოფის დაზიანების მიზეზი და, რაკი ეს იცოდა, ბევრი დრო აღარ დასჭირდა დაზიანების მიზეზის სალიკვიდაციოდ.

ოთარ ადეიშვილი ამჟამად სამ საღარავ ჩარხზე მუშაობს. ორი ჰორიზონტალური ტიპის დანადგარია, ერთი — ვერტიკალური. იგი ზედმიწევნით იცნობს ამ ჩარხებს და ყოველი შემთხვევისათვის მომარაგებული აქვს საჭირო მასალა და ხელსაწყო.

ოთარ ადეიშვილს ქარხანაში იცნობენ, როგორც გონებამახვილ, უნარიან რაციონალიზატორს. მრავალი მისი რაციონალიზატორული წინადადება დანერგილია და ეკონომიას აძლევს საწარმოს. ქურაზე დამუშავების ტექნოლოგია მან იმდენად გააუმჯობესა, რომ ახლა ამ დეტალს იგი 30 წუთში აკეთებს ნაცვლად 70 წუთისა, რაც ნორმით არის გათვალისწინებული, და ყოველდღიურად გვაძლევს 4,5 საათი სამუშაო დროის ეკონომიას, ზოგავს 19 კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

ოთარ ადეიშვილს შემოღებული აქვს მუშაობის გარკვეული წესი და თანმიმდევრობა, რაც მას უადვილებს მაღალნაყოფიერ შრომას, საწარმოო დავალებათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას. იგი ყოველთვის წინასწარ იმარაგებს ჩარხზე დასამუშავებელ დეტალებს, რათა მუშაობის პროცესში დრო არ დახარჯოს მათ მოსატანად. ამასთან სამუშაო ადგილთან მოტანილი და ერთ მიჩენილ ადგილზე აქვს დაწყობილი ხელსაწყოები, მკრელი და საზომი იარაღები. ამიტომ სამი ჩარხის მომსახურებისას მას აღარ უხდება სხვადასხვა ხელსაწყოსა ან საჭრისისათვის საწყობში მისვლა. დაამთავრებს თუ არა გარკვეული დეტალის დამუშავებას ერთ ჩარხზე, დაუყოვნებლივ გადააქვს იგი მეორე ჩარხზე სათანადო ოპერაციისათვის. ეს მას ნორმით გათვალისწინებული 5 წუთის ნაცვლად 2 წუთ დროს ართმევს.

წინათ ამ ნოვატორის მუშაობას დიდად აფერხებდა ჩარხების ბრუნვის სიმცირე, ამიტომ მან მცირეძალიანი ძრავები შეცვალა უფრო მძლავრი ძრავებით და ამით ჩარხების ბრუნვათა რაოდენობა 150 ბრუნვა-წუთიდან გაადიდა 250 ბრუნვა-წუთამდე.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს ო. ადეიშვილის გამოცდილებიდან იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწია ე. წ. შლიცებიანი ლილვის დამუშავებაზე ნორმით გათვალისწინებული დროის ერთი მესამედით შემცირებას.

შლიცებიანი ლილვის დასამუშავებლად მღარავებს ჩვეულებრივად სამი ოპერაციის შესრულება უხდებათ და სამივე ოპერაციისათვის სამი საათი სჭირდებათ. ო. ადეიშვილმა განიზრახა შეემცირებინა ამ დეტალის დამუშავების დრო. ამისათვის მან გადაწყვიტა ოპერაციათა რაოდენობის შემცირება.

თუ წინათ ლილვზე ორი ღარის გავლებას ჰორიზონტალურ ჩარხზე ორ ოპერაციად ასრულებდა, ახლა მან შეარჩია სათანადო საჭრისები, დაამაგრა ისინი ჰორიზონტალურ ჩარხზე ისე, რომ საჭრისებს შორის მანძილი ლილვის ღარებს შორის მანძილის ტოლი ყოფილიყო. მღარავმა ლილვზე ორივე შლიცის ამოღარვა ერთი ოპერაციით შეასრულა. ამრიგად, შლიცებიანი ლილვის დამუშავებაზე სამი ოპერაცია ორ ოპერაციად შეცვალა და დეტალის დამუშავებისათვის წინათ საჭირო სამი საათი ორ საათამდე დაიყვანა.

ასე მუშაობს გამოჩენილი ქუთაისელი ნოვატორი ოთარ ადეიშვილი.

ნ. ვარდოსანიძე,
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი ინჟინერი.

ოსტატის სიხარული

გ. ლაშხი ამწის აწყობისას.

* * *

გიორგის მაშინ არც კი წარმოედგინა, რომ თბილისს ეს დიდი და ლამაზი შენობა მისი სახლი გახდებოდა, რომ აქ მისცემდნენ მას ბინას.

...ჯარიდან დაბრუნებული გიორგი შინ ისვენებდა. ისვენებდა პოლონეთსა და ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში ბრძოლებგადახდილი მეომარი. ფანჯრიდან გასცქეროდა მტკვარგაღმა ჭანდრებში ჩაფლულ მარჯვენა სანაპიროს, მას რიკულებიან მოაჯირს. უსმენდა მტკვრის დუდუნს. გამოღმა კი მისი სახლის წინ დიდ შენობას უყურადნენ საძირკველს.

ერთ დღეს მან შენიშნა, რომ აქ ზღაპრული ცხოველის ჩონჩხის მსგავსი ლითონის ფერმები დაყარეს. მის ახლოს მემონტაჟეები აფუსფუსდნენ, რაღაცას ალაგებდენ, აწყობდნენ. იქვე ამაყად მიმოდიოდა რელსებზე კოშკურა ამწე და მაღლიდან ამაყად დასცქეროდა სამშენებლო მოედანს.

გიორგი დაინტერესდა რკინის ორჩოფეხებზე შემდგარი ამ აყალაყუდა მანქანით. მივალ ახლოს, ვნახავ როგორ ააწყობენო, — გადაწყვიტა მან. შილიფად ჩაცმულმა შიშველი ფეხები ჩუსტებში წყაო და მსუბუქად ჩაირბინა კიბეზე.

მუშაობით გართულმა მემონტაჟეებმა პირველად ვერც კი შენიშნეს მისი მოსვლა. ერთმა მათგანმა თავი მაღლა ასწია, ქუდი კეფაზე გადაიგდო, სახელოთი მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი და მაშინ შეამჩნია, რომ მის წინ იდგა ჯმუხი ახალგაზრდა. შავი მსხვილი ულვაშები და ხშირი წარბები კიდევ უფრო ვაჟკაცურ იერს აძლევდნენ გიორგის გარეგნობას.

როგორც გიორგიმ შეატყო, სწორედ ის მუშა უნდა ყოფილიყო უფროსი. მოკლე განკარგულებებს იძლეოდა, აქეთ-იქით გზავნიდა ახალგაზრდებს. მართლაც, ეს იყო მექანიზატორთა ბრიგადირი სერგი ისაევი, რომელთანაც გიორგიმ მალე გამონახა საერთო ენა. დილიდანვე მასთან მიდიოდა ხოლმე და ხან ამწყობებს ეხმარებოდა, ხან ამუშავებულ ამწეს შესცქეროდა, შენატროდა მეამწის ბედს, რომელიც თავისი პატარა კაბინიდან ბაგირების ჯადოქრული მართვით ნებისმიერად დაატრიალებდა აგურის კონტეინერებს, ბეტონხსნარით სავსე ბადიებს, რკინისა და ხის კოჭებს. ათი დღე იარა ასე. საქმეს ალღო აუღო, ამხანაგები გაიჩინა.

რაღა სხვაგან ვეძებო სამუშაო, იქნებ აქაც მიმიღონ, — გაუელვა ერთხელ გიორგის. მართალია, უმაღლესში შესვლას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, სწავლას მერეც მოვესწრები, ჯერ ხელობას შევიძენო. ისაევს თბოვა, — უფროსი მაჩვენე, სიტყვა დამაწია, თუ კაცი ვარ, სიკეთით გადაგიხდიო. იმ ხანად ისაევი აწყობასთან ერთად პირველ ცვლაში მეამწედაც მუშაობდა. დღის ცვლა უფრო დატვირთული იყო და ამიტომ ქეთევან ჩიკაშვილმა — თბილისმშენის პირველი სამშენებლო კანტორის მაშინდელმა უფროსმა გიორგი მეორე ცვლის მეამწედ გააფორმა.

გიორგი ერთი თვის საგამოცდო ვადით მიიღეს სამუშაოზე. დიდი ფხა და უნარი გამოიჩინა. საგამოცდო დრო სანახევროდაც არ იყო გასული, რომ პირველ ცვლაში გადმოიყვანეს, მეოთხე თანრიგი მიანიჭეს. მისი მასწავლებლის სერგო ისაევის ბრიგადას კი ამწეების დაშლა-აწყობა მიანდეს.

მართალია, გიორგი მეამწედ მუშაობდა, მაგრამ მემონტაჟის პროფესიასაც ეუფლებოდა. დილით რომ ამწეს მართავდა, საღამოს აწყობაზე მუშაობდა. მეორე ცვლა გვიან მთავრდებოდა. ინჟინერ ქალს, სამუშაოთა მწარმოებელ კლარა ჩაჩხიანს შორი გზა ჰქონდა სახლამდე, გიორგი თავის მოვალეობად თვლიდა მის გაცილებას და, რა თქმა უნდა, პირნათლად იხდიდა ამ ვალს.

თვითონაც არ იცის, როგორ, როდის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჯერ თავისთავს, შემდეგ კი კლარასაც გამოუტყდა, რომ...

გადიოდა თვეები, გიორგის ისე ეჩვენებოდა, თითქოს მისი ამწე თანდათან დაბლდებოდა და სადღაც ქვევით მიდიოდა. ნამდვილად კი ამწე კი არ დაბლდებოდა, არამედ დღითიდღე შენობის კედლები იზრდებოდნენ და ამწეს ახოვნობის იერს უკარგავდნენ.

პირველად ამწეს აწყობას ორი თვე უნდებოდა ბრიგადა, შემდეგ კი, როცა საბურთალოზე ჩქაროსნულ-ნაკადური წესით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას შეუდგნენ, თვენახევარსღა უნდებოდნენ.

1954 წელს გიორგი ლაშხმა ახალი გამოცდა დაიჭირა. საკვალიფიკაციო კომისიამ მეოთხე თანრიგიდან პირდაპირ უმაღლეს თანრიგში — მეშვიდეში გადაიყვანა. მალე მას ბრიგადა ჩაბარეს. „აბა, თუ ბიჭი ხარ, ახლა უნდა აჩვენო ყველას, რა უნარის ვაჟკაცი ხარ“, — უთხრა მან თავის თავს. საბრძოლო დავალების ზუსტად შესრულებას შეჩვეულმა გიორგიმ ბრიგადის ახალგაზრდა წევრებიც — ტარიელ ოშხნელი, ზელიმხან ჩუაძე, ზურაბ ჩაჩხიანი, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა მშენებლობაზე, ისე გაწაფა მუშაობაში, ისე მოაწყო შრომა, რომ 4-5 დღეში აწყობენ ამწეს და დიდად აჩქარებენ მშენებლობის ტემპს. თუ აქამდე ვისაც სად მოუხდებოდა, იქ მუშაობდა, ახლა ბრიგადის თვითეულ წევრს მტკიცედ მიჩენილი ადგილი აქვს და ჯარგადაც არის დაუფლებული თავის ოპერაციებს.

მაგრამ ყოველთვის ასე მოხერხებულად და წარმატებით როდი მიდიოდა გიორგის საქმე. ისაევი მას ხშირად აფრთხილებდა: გიორგი, იცოდე, ამწეს აწყობაზე უფრო ძნელი მისი დემონტაჟია, დაშლაა. უფრთხილდი, ანკერმა ან ბაგირმა არ გიმტყუნოს, ანძამ წონასწორობა არ დაკარგოს, თორემ მერე მორჩა...

და ეი ერთხელ, როცა გიორგი საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობაზე მუშაობდა, თავის პრაქტიკაში დამოუკიდებლად პირველად არღვევდა კოშკურა ამწეს. მტერს ის სიმწარე, რაც მან განიცადა, წაექცა ანძა! არ უშველა არც ბაგირის წინასწარ დაბეტონებამ, არც სიფრთხილემ. ძლიერ ჩაფიქრა გიორგი ამ შემთხვევამ. დიდხანს ეძებდა ამ შემთხვევის მიზეზს და მიაგნო კიდეც — პორტალი მაგრად არ იყო დამაგრებული რელსებზე, დაცურდა, ბაგირი გაწყდა და ანძა წაიქცა.

ამ მიზეზის ძებნაში გიორგის სხვა ძვირფასი აზრიც მოუვიდა: პირდაპირ ბულდოზერზე ამაგრებს ბაგირს. აღარც სპეციალური თხრილის ამოღებაა საჭირო და არც ოცამდე კუბმეტრი ბეტონის ჩასხმა.

ამწეების აწყობა-დაშლაში დახელოვნდა გიორგი, მას მარტო თბილისის მშენებლობებზე კი არ იცნობენ, მის მიერ გამართული კოშკურა ამწეები მუშაობენ ქუთაისშიც, სოხუმშიც, ბათუმშიც...

ბედნიერად დაბოლოვდა ინჟინერ კლარა ჩაჩხიანისა და გიორგი ლაშხის სიყვარულიც... დაოჯახდნენ. ბინა კი, ბინა, რომელიც ასე სჭირდებოდათ ახლად დაოჯახებულთ, იმავე შენობაში მისცეს — მარცხენა სანაპიროზე, ასოცდასამბინიან სახლში, რომელსაც როგორც საკუთარ ბედნიერებას, თავისი ხელით ქმნიდნენ.

ვ. ჯალაღანია,
ს. ხარაზიშვილი.

ამბები საწარმოებიდან

● ავჭალის შუშის ქარხნის მექანიკოსმა ზაქარია გელაშვილმა გააკეთა სპეციალური მექანიზმი შუშის საყალიბო მანქანის დეტალებისაგან შუშის ხიშვებისა და „კუდების“ მოსაშორებლად. ამ მექანიზმმა შესცვალა 8 მუშის მძიმე შრომა.

● ტყიბულელი შახტმშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის პოლიექტ ჭელიშვილის ბრიგადამ საველე შტრეკის გაყვანაში მოგვცა სარეკორდოდ სწრაფი წინსვლა. თვეში ნორმით გათვალისწინებული 75 გრძივი მეტრის ნაცვლად მისი ბრიგადა სისტემატურად ყოველ თვეში 115-120 გრძივი მეტრით წინსვლას აღწევს.

● თბილისის ტყავის პირველი ქარხნის რაციონალიზატორმა ზეინკალმა პეტრე უხანოვმა საძირე ტყავის დამუშავებაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანა. მან შეცვალა ტყავის სატვეცი მოწყობილობის ზოგი დეტალი, ამით 15 პროცენტით აამაღლა ტყავის მტკეცავთა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა ტყავის დამუშავების ხარისხი და საწარმოს 50.000 მანეთი წლიური ეკონომია მისცა.

თვითეული კომბაინი მოუცდენლად უნდა მუშაობდეს

გავაძლიერეთ მკის ტემპი

თელავის მტს-ის დისპეტჩერი ნაზი ჯავახიშვილი რადიოსადგურ „ეროვნით“ საკოლმეურნეო მინდვრებიდან სასიხარულო ცნობებს იღებს.

— დღეს კომბაინერმა ნ. ოსაძემ პურეული მომკა 23 ჰექტარზე, გალეწილია 460 ცენტნერი ხორბალი. კომბაინერმა ს. გიგოლაშვილმა მოსავალი აიღო 20 ჰექტარზე, ბუნკერიდან გადმოტვირთულია ოთხასი ცენტნერი ხორბალი.

ასე იტყობინებიან თითქმის ყოველდღე კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთებიდან. აქაურ კოლმეურნეებს უხვი მოსავალი ახარებთ. შარშანდელთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე 13 ცენტნერით მეტ ხორბალს იღებენ. ისიც არანაკლებ სასიხარულოა, რომ მოსავლის აღება არ გვიანდება. წინა წლებში კომბაინერები დღეში 8-10 ჰექტარს მკიდნენ, წელს კი ოც ჰექტარსაც არ სჯერდებიან.

პირველ რიგში კომბაინერ ნ. ოსაძეს აქებენ. საქებარიც არის! მიუხედავად იმისა, რომ ხშირი წვიმების გამო ყანას ბალახი მოერია და ალაგ-ალაგ კიდეკაც ჩაწვა, ამასთან ნათესი ძალიან მაღალია, მან უკვე 190 ჰექტარი მომკა. არცერთი სამუშაო დღე არ ყოფილა ისეთი, რომ ოცი ჰექტარი მაინც არ მოემკა. ოსაძის კომბაინის აგრეგატის კოლექტივმა 3.200 ცენტნერი გალეწილი ხორბალი ჩააბარა კოლმეურნეობას.

მექანიზატორები წარმატებას ბეჯითი შრომით აღწევენ. დილის 5-დან 6 საათამდე კომბაინისა და ტრაქტორის ტექნიკურ მოვლას აწარმოებენ, ასუფთავებენ ძრავებს, ახდენენ ნაწილების დამაგრებას. თუ სადმე წუნი შენიშნეს, ნაწილებს ცვლიან. განსაკუთრებულად ამოწმებენ და არეგულირებენ მჭრელ აპარატს. 6 საათიდან ღამის ორ-სამ საათამდე აგრეგატს მხოლოდ ერთ საათს აჩერებენ დათვალიერებისათვის. საუზმის, სადილის და ვახშმის დროს კომბაინი არ ცდება. მექანიზატორები მორიგეობით ცვლიან ერთმანეთს. ეს კომბაინის წარმადობას დღეში ორი ჰექტარით ადიდებს.

მოსავალი კარგია კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაშიც. „ჩიხის“ ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი ხორბალი აიღეს, დანარჩენი ნაკვეთების გამოსავალი კი ჰექტარზე 21 ცენტნერს აღეწატება. კომბაინერმა დ. მამუკელაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით უკვე 160 ჰექტარი მომკა. ბუნკერიდან გადმოტვირთულია 3.500 ცენტნერი ხორბალი.

ნაფარეულის მტს-ის კომბაინერთა შორის იოსებ მანგოშვილს ტოლი არა ჰყავს. იგი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს შეუფერებლად ამუშავებს. მანგოშვილმა ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას ორასი ჰექტარი ყანა მოუმკო. იგი ხშირად დღეში 25-26 ჰექტარზე იღებს მოსავალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა.

ასევე დაწინაურდნენ მოსავლის აღებაში ნაფარეულელი კომბაინერები გ. ყველიაშვილი, შ. დურგლიშვილი, რ. სუმბაძე და მ. დიასამიძე.

მაგრამ დასახელებული ფაქტები იმას როდი ნიშნავს, თითქოს თელავის რაიონში ყველა მექანიზატორი კარგად მუშაობდეს. ვხვდებით მანქანების მოცდენას. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ თელავის მტს-დან ცუდად შეკეთებული „სტალინეც-6“ კომბაინი მიიტანეს, კომბაინერად ისეთი კაცი გამოჰყვეს, რომელმაც მანქანას ვერაფერი გაუგო. ახლა მის ნაცვლად კომბაინერად ი. კირიაკოვი მუშაობს. იგი ბევრს ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოუდის, დღეში 3-4 ჰექტარზე მეტს ვერა მკის. ამავე კოლმეურნეობაში მუშაობს გ. ხატიაშვილი. წელს მას ახალთახალი კომბაინი ჩააბარეს. მოსალოდნელი იყო, რომ მკის დღიურ დავალებას დიდი გადამეტებით შეასრულებდა, მაგრამ 9 სამუშაო დღეში 85 ჰექტარზე მეტი ვერ მომკა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. პაატაშვილმა განაცხადა, კომბაინერებმა თუ ასე იმუშავეს, მოსავლის აღებას 15 აგვისტომდე მოვუნდებითო. ეს ხორბლის დიდ დანაკარგს გამოიწვევს.

13 დღეა ი. კრუგოვი კურდღელაურის კოლმეურნეობის ნაკვეთებში, რომ იტყვიან, აჯახირებს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინს. იგი დღეში 5 ჰექტარზე მეტს ვერა მკის. ასევე ცუდად მუშაობენ კომბაინერები ი. ხუციშვილი, ს. ბოჭორიშვილი, ო. ზუროშვილი და გ. თუშბარამიშვილი.

კომბაინების მოცდენას უმთავრესად ტექნიკური უწესივრობა იწვევს, რაც ძირითადად გამოწვეულია თელავის მტს-ის ინჟინერ-ტექნიკოსთა უხეირო, უპასუხისმგებლო მუშაობით. ისინი ავტომანქანებით ყოველდღე მიდიან ბრიგადებში, უქმად მდგომ მანქანებს ხედავენ, მაგრამ მათი ამუშავებისათვის სასწრაფო ღონისძიებებს არ იღებენ. მათდამი აშკარა ლმობიერებას იჩენს მტს-ის დირექტორი ნ. ჩხოტუა.

მექანიზატორთა ცუდმა მუშაობამ ის გამოიწვია, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლის აღება სამარცხვინოდ ჩამორჩა. ვანთის, ქვემოხოდაშნის, წინანდლის, ვარდისუბნის, რუისპირისა და იყალთოს კოლმეურნეობებს ჯერ ნახევარი მოსავალიც არ აუღიათ.

ზოგან დიდი დანაკარგებია. ფშავლის, წინანდლის, იყალთოს და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში თავთავის აკრეფით თავს არ იწუხებენ, ამ საქმეში ახალგაზრდობას არ იყენებენ. ფშავლის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ბ. კერვალიშვილი) კალოების სათანადოდ მოწყობაც ვერ მოახერხეს, ხორბლის ნაწილი წვიმამ დააზიანა.

თელავის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ მოსავლის აღებაში ჩამორჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მკის ტემპი უნდა გაძლიერდეს. მოსავლიანობა დაცდა არ იცის.

ს. ჟოჟლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოციალისტური სისტემის ქვეყნების ურყევი ერთიანობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 30 ივნისის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ კვლავ იზიდავს ამერიკის რეაქციონერი პროპაგანდისტების შეშფოთებულ ყურადღებას. დალესის შემდეგ ამერიკის პრესის ბევრი ორგანო ახლა წაღმა-უკუღმა მსჯელობს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემებზე. რა აშფოთებთ ამერიკელ პროპაგანდისტებს? შეშფოთების საფუძველი მათ მართლაც აქვთ.

მაგალითად, გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორს“ არ შეუძლია არ აღიაროს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ პიროვნების კულტისა და მისი შედეგების ლიკვიდაციაზე აღებულმა გეზმა „ახალი ენერგია გაათავისუფლა საბჭოთა კავშირის შიგნით“. „არ შეიძლება სერიოზულად დავეჭვდეთ იმაში, — წერს გაზეთი, — რომ საბჭოთა კავშირი დღეს ხალხთა უფრო ნაყოფიერ, უფრო ენერგიულ, უფრო სიცოცხლისუნარიან თანამეგობრობად იქცა...“. გაზეთს მიაჩნია, რომ „საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ თავიანთი საქმეების განვითარებაში“.

რამდენადაც ყოველივე ეს სწორედ ასეა, იმდენად უფრო მეტი საფუძველი არსებობს უკუგდებულ იქნას ლათაიები საბჭოთა კავშირის ვითომდა „სიხუსტის“ შესახებ, დასამარდეს ყბადაღებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, აღიარებულ იქნას, რომ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების თანაარსებობა გარდუვალია, და ამის საფუძველზე აგებულ იქნას რეალისტური პოლიტიკა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური წრეები სულაც არ აპირებენ ხელი აიღონ საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების, „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების წინანდელ პოლიტიკაზე. ამიტომ ამერიკელი პროპაგანდისტები, რომლებიც იძულებული არიან გამოეთხოვონ ერთ ილუზიებს, ახლა იგონებენ ახალ ილუზიებს იმავე „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განმტკიცებისათვის.

ახლა ისინი ამოცანად ისახავენ დაამტკიცონ, რომ თითქოს მიუხედავად იმისა, რომ აშკარად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური და მორალური ძლიერება, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეთა საქმეები არც ისე ცუდად არის: თურმე მათ შეუძლიათ იმის იმედი იქონიონ, რომ სსრ კავშირის განმტკიცების გარდუვალი ფაქტის საერთაშორისო მნიშვნელობა თითქოს შესუსტდება საერთაშორისო ცხოვრების რომელიმე სხვა მოვლენებით. „კრისჩენ საიენს მონიტორი“ იმედს გამოთქვამს, რომ შესაძლოა „კომუნისტური სამყაროს სამ სეგმენტს“ შორის — ე. ი. სსრ კავშირს, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებსა და კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებს შორის, — წარმოიშვას „ინტერესთა წინააღმდეგობა“, ვინაიდან, გაზეთის აზრით, „ის, რაც ერთ მათგანს ხელს უწყობს, აუცილებლად როდი უწყობს ხელს დანარჩენ ორს“.

ასეთია არა მარტო გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ აზრი. ეს არის იმპერიალისტური წრეების თანამედროვე სტრატეგიის ქვაკუთხედი. ისინი საჯაროდ უკეთებენ რეკლამას „კომუნისტური სამყაროს“ ძირგამოთხრისა და გათიშვის გეგმებს და ამასთან უტიფრად სინამდვილედ ასაღებენ იმას, რაც მათთვის სასურველია, ამახინჯებენ ფაქტებს, წარამარა ჰორიკანობენ და ტრაბახობენ ხლესტაკოვივით.

მაგრამ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომხრეთა საუბედუროდ ჭეშმარიტება პირდაპირ ეწინააღმდეგება გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ აზრს: **სოციალისტურ ბანაკში ის, რაც ხელს უწყობს ერთს, ხელს უწყობს დანარჩენებსაც, მასში არ არის დაპირისპირებული ინტერესები.** სწორედ ამიტომ პოლიტიკა, რომლის მიზანია სცადონ მსოფლიო სოციალისტური სისტემის გაბზარვა, გამოიწვიონ მასში „ინტერესთა გათიშვა“, ეს არის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელიც თუმცა ცდილობს, მაგრამ ვერ შეძლებს თავისებურად შეაბრუნოს ისტორიული პროცესი.

ყველა სოციალისტურ ქვეყანას ინტერესთა ღრმა ერთიანობა აქვს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დარგებში, ყველა მათგანს აინტერესებს მშვიდობის განმტკიცება, ახალი საზოგადოების აშენებისათვის ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური პირობების შექმნა, ყველა მათგანს აინტერესებს ძმური ურთიერთდახმარება, მეგობრობა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს თანამშრომლობა ხორციელდება ასობით და ასობით კონკრეტული ფორმით, შეთანხმებებით, კონტაქტებით, რომლებიც ნაყოფიერია იმიტომ, რომ არც ერთ სოციალისტურ ქვეყანას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე აგრესიული ან ექსპანსიონისტური მისწრაფებები, ვინაიდან სოციალისტური სისტემის ყოველი ქვეყანა ღრმა პატივისცემით ეკიდება ყველა სხვა ქვეყნისა და ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

სოციალისტური საკუთრება არის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ქვეყნების ერთიანობას, მაშინ როცა კაპიტალისტური საკუთრება არის ფაქტორი, რომელიც გარდუვალად წარმოშობს ღრმა წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. იმპერიალიზმის იდეოლოგებს არა სურთ გაიგონ სოციალისტური სისტემის ძირითადი თავისებურება და ყველაფერს თავიანთი აღლით ზომავენ. მათ არ შეუძლიათ ან არა სურთ გაერკვნენ იმაში, რომ ნამდვილად სოციალიზმის მსოფლიო სისტემა განუყრელი თანამეგობრობაა სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო მიზნებით, საერთო ინტერესებით, აქვთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ერთიანი სოციალისტური ბუნება.

ეს ერთიანობა უდიდესი ძალით იჩენს თავს იდეოლოგიის დარგშიც. საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს იმ **თავისებურებამ,** რომელიც ცალკეულ ხალხებს შეაქვთ თავიანთ მოძრაობაში სოციალიზმის გზაზე, შეიძლება იდეოლოგიის დარგში განკერძოებულობის ფორმები მიიღოს, იმას ნიშნავს, რომ დახატო სინამდვილის დამახინჯებული კარიკატურა. **სოციალისტური ქვეყნების თეორიული აზრის განვითარებისათვის არსებობს ერთიანი ურყევი საფუძველი — მარქსიზმ-ლენინიზმი.**

ვისაც სურს ძველის რეფორმისტული ღეღვა კი არ განაგრძოს, არამედ სოციალიზმისაკენ იაროს, მას შეუძლია იხელმძღვანელოს ისტორიული გამოცდილებით შემოწმებული ერთადერთი კომპასით — მარქსიზმ-ლენინიზმის კომპასით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მარქსისტული აზრის განვითარებაში, მისი გადაწყვეტილებები სტმოულს აძლევს თანამედროვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემდგომ დამუშავებას. სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყანაში სკკპ XX ყრილობის შემდეგ მარქსისტული აზრი მწიფდება ბრძოლაში, მტკიცდება და ვითარდება. **თეორიული მარქსისტული საფუძვლების ერთიანობა, ყველა ჯურის რევიზიონიზმთან შეურიგებლობა — აი რა ახასიათებს სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლს.**

ამიტომაც სოციალიზმის ბანაკში იდეურ არევ-დარევაზე იმედის დამყარება ავანტიურისტული ვარაუდია და, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით განწირულია გარდუვალი ჩაფუშვისათვის. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში არ აღმოჩნდებიან ესა თუ ის გზაგაბნეულები ან ოპორტუნისტები, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება მოექცნენ გარედან გამხრწნელი გავლენის ქვეშ. საერთაშორისო რეაქციული წრეები სწორედ მათზე ფიქრობენ დაყრდნობას. მაგრამ ამით იმპერიალისტური რეაქციის პოზიცია უფრო მტკიცე როდი ხდება. არ შეიძლება ზღვის ტალღებზე ქაფს მოეკიდო იმისათვის, რომ წყალზე დამაგრდე, — სულ ერთია ჩაიძირები.

ავანტიურისტები სწორედ იმიტომ არიან ავანტიურისტები, რომ ისინი თავიანთ პოლიტიკას არ ამყარებენ ისტორიული პროცესის ნამდვილ კანონზომიერებათა გათვალისწინებაზე. არა, „მოვლენათა სასურველ განვითარებას“, რაზეც ოცნებობენ „კრისჩენ საიენს მონიტორი“ და მისი თანამზრახველები, ისინი ვერ მიაღწევენ.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში შემავალი ქვეყნების განვითარების კანონზომიერება სულ სხვაა, ვიდრე სურთ იმპერიალიზმის პოლიტიკოსებსა და იდეოლოგებს, და ვერავითარი ყბედები ვერ უშველიან მათ დაძლიონ ეს კანონზომიერება. ისტორიის კანონზომიერი მსვლელობა სრულებითაც არ მდგომარეობს იმაში, რომ სოციალისტური ქვეყნები თანდათანობით ჩამოშორდებიან ერთმანეთს. სოციალიზმის ყველა მტრის სასიხარულოდ, არამედ იმაში, რომ ეს ქვეყნები **სულ უფრო მჭიდროდ** ირაზმებიან.

როგორ ხორციელდებოდა განვითარება სოციალიზმის სისტემისა, რომელიც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა?

„ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა სავსებით ერთნაირად; თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნების ამა თუ იმ ტემპში“, — ასე წერდა ლენინი ორმოცი წლის წინათ, 1916 წელს. ერთი წლის შემდეგ რუსეთში დაიწყო ოქტომბრის რევოლუცია და ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველნი წავიდნენ სოციალიზმის მშენებლობის უცნობი გზებით, გზას უკაფავდნენ რა მთელ კაცობრიობას.

საბჭოთა ხალხმა უკვე დაახლოებით ოთხმოცდაათეული წელი განვლო ამ გზაზე, და სოციალიზმმა სსრ კავშირში გაიმარჯვა. დიდი ჩინელი ხალხი, რომელმაც მიაღწია სახალხო რევოლუციის გამარჯვებას, აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. სოციალიზმის მშენებლობა გაჩაღებულია ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში.

ესენი სულ სხვადასხვა ქვეყნები არიან, და თვითეულ მათგანში სოციალიზმის მშენებლობა მიმდინარეობს ისტორიული განვითარების, ეკონომიური და პოლიტიკური პირობების თავისებურების გათვალისწინებით. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი ყველანი, ერთად აღებული, და თვითეული ცალკე, მიდიან ერთი მიზნისაკენ, და ეს მიზანია სოციალისტური საზოგადოების აშენება. ზოგნი ამ მიზნის განხორციელებას მიაღწევენ უფრო ადრე, ზოგნი უფრო გვიან, და ეს ბუნებრივია, ვინაიდან ისტორიული გზა ნევის პროსპექტის ტროტუარი როდია, როგორც იტყოდა ხოლმე ჩერნიშევსკი: ყოველთვის შეიძლება წარმოიშვას ახალი გაუთვალისწინებელი გარემოებანი, და საჭირო გზდება ისეთი ამოცანების გადაჭრის გზების ძებნა, რომლებიც წინათ არ წარმოშობილან. მაგრამ ხერხებისა და მეთოდების ეს დაუსრულებელი მრავალფეროვნება მხოლოდ ადასტურებს დიდი ისტორიული პროცესის — მსოფლიო სოციალისტური სისტემის დამკვიდრების პროცესის კანონზომიერებას.

ახალი საზოგადოების მშენებლობა უფრო ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყნებში ხორციელდება სხვა, მნიშვნელოვნად უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე ეს ხდებოდა გამარჯვებული სოციალიზმის პირველ ქვეყანაში — სსრ კავშირში. თავიანთი განვითარების მსვლელობაში სოციალისტური სახელმწიფოები იყენებენ საბჭოთა კავშირის უმდიდრეს გამოცდილებას და ემყარებიან სოციალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის ძლიერებას. მაშასადამე, მით უფრო მეტი წინაპირობა იქმნება სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, სახელმწიფოებსა და მარქსისტულ პარტიებს შორის ძმური მეგობრობის, ამხანაგური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის. სწორედ ეს არის სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების უმნიშვნელოვანესი, დამახასიათებელი ნიშანი. მას განსაზღვრავს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების თვით არსი, რომელიც ვლინდება სოციალიზმის მშენებლობის ყველა კონკრეტულ ფორმაში სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ხალხში.

ვ. ი. ლენინი, ავითარებდა რა თავის აზრს სოციალიზმზე გადასვლის ფორმების სხვადასხვაობის შესახებ, წერდა: „ტრესტებიც კი, ბანკებიც კი თანამედროვე იმპერიალიზმში, რომლებიც ერთნაირად აუცილებელი არიან განვითარებული კაპიტალიზმის დროს, ერთნაირი არ არიან მათი კონკრეტული სახით სხვადასხვა ქვეყანაში. მით უფრო არ არის ერთნაირი, მიუხედავად ძირითადად მათი ერთგვაროვნებისა, პოლიტიკური ფორმები მოწონავე იმპერიალისტურ ქვეყნებში — ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში. ასეთივე სხვადასხვაობა გაჩნდება იმ გზაზე, რომელსაც კაცობრიობა გაივლის ახლანდელი იმპერიალიზმიდან ხვალინდელი დღის სოციალისტურ რევოლუციამდე“.

საზოგადოების განვითარება კაპიტალიზმიდან სოციალისტური წყობილებისაკენ — **ეს საბოლოო ანგარიშით ერთიანი მსოფლიო ისტორიული პროცესია.** სხვადასხვაობა თავს იჩენს ამ ერთიანი პროცესის ფარგლებში და იგი, ეს სხვადასხვაობა, ცხადია, სრულებითაც არ არის გამონაგონი რომელიმე მოცლილი თეორეტიკოსისა, რომელმაც იფიქრა „თავისებურად“, — **„არა ისე როგორც სხვები“,** მივიდეს სოციალიზმამდე. ეს შემოქმედებითი სხვადასხვაობა განისაზღვრება ობიექტური პირობებით და არა ცხოვრებასმოწყვეტილი სუბიექტური მოსაზრებებითა და სურვილებით. იგი ნაკარნახევია ამა თუ იმ ხალხის, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ღრმა ისტორიული, სოციალური, ეკონომიური თავისებურებებით, აგრეთვე საერთაშორისო ვითარებით, რომელშიც სოციალიზმის მშენებლობა ხდება. სწორედ ამიტომ თვითეულ ხალხს, რომელიც თავის ისტორიას ქმნის, შესაძლებლობა აქვს შეიტანოს და კიდეკაც შეაქვს თავისებურება დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, აყენებს პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობას, გვიჩვენებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების, მაგალითად, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ა. შ. გარდაქმნის სხვადასხვა ტემპებს.

მარქსისტული მუშათა პარტიების, როგორც მშრომელი ხალხის ბელადების დიდი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე სწორად და ღრმად გაიგონ ისტორიული განვითარების კანონზომიერება ყველა კონკრეტული თავისებურების გათვალისწინებით და ამ საფუძველზე გამოიმუშაონ სოციალიზმის მშენებლობის თავიანთი გენერალური ხაზი, დარაზმონ და მობილიზაცია უყონ ხალხის მასებს მისი განხორციელებისათვის. ამასთან ყველა ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობა. ყველა ქვეყნის მუშათა კლასი სისხლხორცეულად დაინტერესებულია იმით, რომ სოციალური განთავისუფლების საქმე წინ მიდიოდეს, რომ დახმარება გაუწიონ იმ ქვეყნების მშრომელებს, რომლებშიც დამხობილია ექსპლოატატორთა ძალაუფლება.

მაშასადამე, სოციალიზმისაკენ მიმავალი გზების სხვადასხვაობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეა „მოძველდა“, როგორც ზოგი ვინმე ცდილობს ჩაუნერგოს ეს ახალი საზოგადოების მშენებლებს. სოციალიზმისაკენ მიმავალი სხვადასხვა გზა სრულებითაც არ არის სხვადასხვა მხარეს მიმავალი გზები. პირიქით, ყველა ეს გზა ერთი მიზნისაკენ მიდის. და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშისადმი ერთგულებას, სოციალიზმისათვის მებრძოლთა მუდმივ მზარდ დარაზმულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთო დიადი საქმის წარმატებისათვის.

მთელ გზაზე, რომლითაც მიდიოდნენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და ყველა მშრომელნი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ისინი გრძნობდნენ სხვა ქვეყნების მუშათა კლასის ძმურ მხარდაჭერას. ჩამორჩენილი მემამულურ-ბურჟუაზიული რუსეთის ადგილზე მძლავრი ინდუსტრიული სოციალისტური სახელმწიფოს, მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნის შექმნა — აი ამ გზის შედეგი. სოციალიზმის მშენებლობის ამ დიად საქმეში წვლილი შეიტანა თავისი ბრძოლით სხვა ქვეყნების მუშათა კლასმაც.

ამჟამად დიდი მიღწევები მოიპოვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმაც. ეკონომიური და სოციალური წყობილების დიდი გარდაქმნები სულ უფრო მეტად იძლევიან თავიანთ ნაყოფს, მათი სოციალისტური სახელმწიფოებრიობა განმტკიცდა, განუზომლად გაიზარდა ხალხის პოლიტიკური შეგნებულობა. ეს მიღწევები გააადვილა იმ დახმარებამ, რომელსაც მათ უანგაროდ უწევდნენ საბჭოთა კავშირის მშრომელები, ასრულებდნენ რა თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას.

ბოლოს, მთლიანად სოციალიზმის ქვეყნების წარმატებანი აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, უნერგავენ კაცობრიობის ნათელი მომავლის ღრმა რწმენას.

ასე სხვადასხვა ასპექტით გვევლინება მთელი მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა.

სხვადასხვა ქვეყანაში ძველი საზოგადოებრივი წესების მსხვრევის ერთიანი პროცესი, ახალი წესების წარმოშობა და განმტკიცება გარდუვალად იღებს სხვადასხვა ფორმას. მაგრამ ყველა ამ ქვეყანაში თანაბრად გარდუვალია კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა. მაშასადამე, ყველა ეს ფორმა ყველა მათი განსხვავების მიუხედავად ერთგვაროვანია ძირითადში, მთავარში: მათი საერთო საფუძველია ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობა, მათი საერთო მიზანია სოციალიზმი.

სწორედ ეს ქმნის სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლის მონოლითურ ერთიანობას. კომუნიზმის მტრებს შეუძლიათ რამდენიც სურთ გაჰყვიროდნენ, რომ თითქოს ჩვენ გვინდა „ვიძულოთ ყველანი ერთნაირად იფიქრონ“. ეს სიცრუე ვერ იხსნის კაპიტალიზმს. სწორედ მიზნების საერთოობა, **მთავარსა და ძირითადში ერთობა** ქმნის ბაზას იმისათვის, რომ გაიშალოს ქეშმარიტად შემოქმედებითი დისკუსიები, რომლებიც მდიდარია დასკვნებითა და შედეგებით ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის როგორც თეორიისათვის, ისე პრაქტიკისათვის.

ცდილობენ რა აბნეულობა შეიტანონ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზების სხვადასხვაობის საკითხში, იმპერიალისტური რეაქციის იდეოლოგები გარკვეულ მიზანს ისახავენ: მათ სურთ გათიშვა შეიტანონ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობაში. ეს გეგმები, რა თქმა უნდა, მარცხით დამთავრდება — ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხები თავს არ მოატყუებინებენ. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვერდი აგვევლო მტრის მანევრებისათვის. აი რატომ არის, რომ სოციალიზმის მშენებლები გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ მტრული ძალების ყველა ხრიკებს, რომელთა მიზანია სოციალისტურ ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთობის შესუსტება. ამ ხრიკების საპასუხოდ ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ თავიანთ ურთიერთობას.

ურყევი სოლიდარობა ქვეყნებისა, რომლებიც მსოფლიო სოციალისტურ სისტემას ქმნიან, მათი ურთიერთდახმარება, ზრუნვა ყველა სოციალისტური სახელმწიფოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის — აი სწორედ ეს არის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალი განსახიერება.

„პრავდა“, 24 ივლისი.

იქ, სადაც მოსავლის აღების გედი წყდება

ხელმძღვანელობს რა პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ბადიაურის მტს-ის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მოსავლის აღების დღეებში გაუმჯობესა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრი გადავიტანეთ ველად, სადაც მოვაწყეთ აგიტპუნქტები. კომბაინის აგრეგატებზე მივამაგრეთ კომუნისტი აგიტატორები და მესაუბრე წამკითხველები. ისინი სისტემატურად მართავენ საუბრებს და გაზეთის ხმამაღალ კითხვას, რასაც უკავშირებენ მექანიზატორთა და კოლმეურნეთა წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს. მშრომელები ყოველდღიურად ეცნობიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. ეს ხელს უწყობს მექანიზატორთა შრომითი აქტივობის ამაღლების, უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევას; კარგად მუშაობენ აგიტატორები ვ. ჯავახიშვილი, ლ. ჩხიკვაძე, ე. გაჩეჩილაძე, მ. საკარული და სხვები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მრავალი კომბაინერი. ვ. ოქრომჭედლიშვილმა სოფელ ლამბალოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 10 დღეში 305 ჰექტარზე აიღო მოსავალი. კარგად მუშაობენ კომბაინერები გ. ძირკვლიშვილი, შ. ალუღიშვილი, ე. მამისაშვილი, ა. გულაღაშვილი, ს. ოგანეზოვი, ა. ადუაშვილი, ა. ახმედოღლი და სხვები.

აგიტატორები უშვებენ საველე გაზეთებს, რომლებშიც ასახულია მოწინავეთა წარმატებები, გაკრიტიკებულია შემჩნეული ნაკლოვანებანი. თვეში ოთხჯერ გამოდის მტს-ის კედლის გაზეთი „ტრაქტორისტის ხმა“. მოვაწყეთ საგაზეთო ვიტრინები, საწარმოო მაჩვენებელთა დაფა.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მკის პირველ დღეებში სერიოზული ნაკლოვანებებიც გვქონდა. მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებისა და მექანიზატორებისათვის იშვიათად ეწყობოდა აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლები, სისტემატურად არ უჩვენებდნენ კინოსურათებს, ზოგან დაბალი იყო საგიტაციო საუბრების იდეური დონე. ეს მდგომარეობა მალე გამოსწორდა.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებაში.

გ. ზირაქაშვილი,

ბადიაურის მტს-ის პარტბიუროს მდივანი.



პურეულის აღება კაჰრეთის რაიონის სოფელ ვერხვიანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. შტურვალთან არის ბადიაურის მტს-ის მოწინავე კომბაინერი შ. ალუღიშვილი.

ფოტო ტ. ლუნგანისა.

ბერნარდ შოუ

გავიდა ასი წელი ბერნარდ შოუს დაბადებიდან. იშვიათია, რომ ერთი საუკუნის წინათ დაბადებული მწერალი ჩვენი უშუალო თანამედროვე იყოს. ბერნარდ შოუ კი ჩვენი თანამედროვეა არა მარტო იმიტომ, რომ 1950 წლამდე იცოცხლა, არამედ მთელი თავისი შემოქმედებითაც. კაპიტალისტურ სისტემასა და ბურჟუაზიის ფილისტერობას მეოცე საუკუნეში არც ერთი ინგლისელი მწერლისაგან არ მოხვედრია იმდენი მწვავე მათრახი, რამდენიც შოუსაგან.



ბერნარდ შოუმ სახელი გაითქვა, როგორც დრამატურგმა, თუმცა პიესების წერას საკმაოდ გვიან მიჰყო ხელი. უკვე 40 წელიწადს მიახლოებულმა. მანამდე იგი მუშაობდა ლიტერატურულ და მუსიკალურ კრიტიკოსად სხვადასხვა გაზეთებში. სწორედ ამ დროს დაინტერესდა იგი სოციალური პრობლემებით; ბრიტანეთის მუზეუმის სამკითხველო დარბაზში მან შეისწავლა მარქსის „კაპიტალი“; ამავე წლებში გახდა იგი ფაბიანელთა საზოგადოების აქტიური წევრი. შოუ სამწერლო მოღვაწეობაზე ოცნებობდა, მაგრამ თავდაპირველად ბედმა არ გაუღიმა მომავალ სახელგანთქმულ დრამატურგს, მან ხუთი რომანი დაწერა და ხუთივე დაუწუნეს გამომცემლებმა. მხოლოდ ამის შემდეგ მიაგნო შოუმ თავის ნამდვილ ძოწოდებას.

1892 წელს პროგრესული „დამოუკიდებელი თეატრისათვის“ შოუმ დაწერა თავისი პირველი პიესა — „ქვრივის სახლები“, რომელმაც ცენზურა აამხედრა. ეს გასაგებიც იყო: მარტივ სასაყვარულო სიუჟეტურ სქემას და ტრადიციულ „ბედნიერ ბოლოს“ შოუმ შეაქსოვა ინგლისის ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური საკითხი — ღარიბი მასების საბინაო პრობლემა.

შოუს მეორე პიესა „მისის უორენის პროფესია“ ცენზურამ თავდაპირველად აკრძალა, რადგანაც ფილისტერული მორალის მქადაგებელ ბურჟუაზიას შოუმ ხმამაღლა უსსენა კაპიტალისტური საზოგადოების უკურნებელი სენი — პროსტიტუცია. „კეთილზნეობიანი“ ცენზურა დიდხანს ვერ შეურიგდა ამ პიესას. ამიტომ იყო, რომ 1892 წელს დაწერილი ნაწარმოები მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1902 წელს, დადგეს სცენაზე და ისიც კერძო თეატრში. 1905 წელს ნიუ-იორკში მსახიობები, რომელნიც მის დადგმაში იღებდნენ მონაწილეობას, „საზოგადოებრივი ზნეობის დარღვევისათვის“ დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. ნამდვილი მიზეზი შოუს დევნისა კი სულ სხვა იყო. მან თავის პირველ პიესებს შემთხვევით როდი უწოდა „არასასიამოვნო პიესები“. მან უარყო ბურჟუაზიის მიერ სასიცოცხლო აქსიომად მიჩნეული ძველთაძველი თქმა— „ფულს სუნი არ უდისო“ და აშკარად განაცხადა, ფულს დიახაც ცუდი სუნი უდის, როცა ის ისთ-ენდის ნანგრევებიდან, ევროპის საროსკიპოებიდან და ინგლისის ტყვეის ქარხნებიდან არის ამოქაჩულიო.

შოუს გმირების გალერეა მრავალფეროვანია. მან გამოიყვანა სცენაზე პოლიტიკოსები, პარლამენტის წევრები, ზარბაზნების ფაბრიკანტები, სასულიერო პირები და ცინიკური გულახდილობით ათქმევინა მათ ის, რასაც ბურჟუა ფიქრობს თითქმის ყოველთვის, მაგრამ არასოდეს არ ამბობს. იარაღის ქარხნის პატრონს ენდერ ეშეტს სასაღილოდ არ ჰყოფნის აზრი, რომ მის მიმქმედებას კონტროლი შეიძლება გაუწიოს მთავრობამ, და დაცინვით ეუბნება შვილს, რომელიც პოლიტიკური კარიერისათვის ემზადება: „ამ ქვეყნის მთავრობა მე ვარ... შენ ფიქრობ, რომ შენ და ექვსიოდე დილეტანტი, მწკრივად რომ ჩაშმსხდარხართ იმ სულელურ სალაყბოში, შესძლებთ ჩვენ დაგვიმორჩილოთ? არა, ჩემო მეგობარო, თქვენ ამას გააკეთებთ, რაც ჩვენ გვჭირდება. თქვენ იომებთ, როცა ეს ჩვენ ხელს მოგვცემს, და როცა არა, თქვენ მშვიდობას დაიცავთ... სამაგიეროდ კი ჩემი გაზეთები დაგეხმარებიან და ტაშს დაგიკრავენ თქვენ, და თქვენც ისიამოვნებთ, რაკი თავს მოიტყუებთ, რომ დიდი სახელმწიფო მოღვაწენი ხართ“...

ასეთი უტიფარი ტირადა თავის ძალაუფლებაში დარწმუნებული ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსებისა შოუს არა ერთი და ორი მოუცია თავის პიესებში. ბურჟუაზიული ფილისტერობის სამხილებლად შოუს ხშირად გამოჰყავს, ერთი მხრივ, ენდერშეფტები და მისი მსგავსი მტაცებლები, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი პირები.

თვით ავტორის მიერ „პოლიტიკურ ექსცენტრიადად“ წოდებული პიესა „ვაშლის დატვირთული ურემი“ ფანტასტიკით შენიღბული სპარლამენტო ბრძოლის შესანიშნავ სურათს იძლევა. შოუმ პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ერთმანეთს შეაჯახა მეფე და მისი მინისტრები, თანაც პიესის წინასიტყვაობაში აშკარად გვიჩვენა, რომ არცერთს ნამდვილი ძალაუფლება არ გააჩნია: ნამდვილი მბრძანებელი და მმართველი კაპიტალია.

კაცი ფიქრობდა, შოუს წინათგრძნობა ჰქონდა „მარშალის გეგმის“ შესახებო, ისეთი სიზუსტითა და პოლიტიკური გამჭრიახობით დაგვიხატა მან ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ვენსეთეანი, რომელიც ინგლისში ჩამოსულა ამ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საბოლოოდ მოსასპობად.

ისეთი საზოგადოებრივი სინდისის მქონე მწერალს, როგორიც იყო ბერნარდ შოუ, არ შეეძლო თავის შემოქმედებაში გვერდი აეხვია კოლონიური საკითხისა და ომებისათვის. შოუმ, როგორც ირლანდიელმა, თვით იწვნია ბრიტანეთის პროტექტორობა პატარა ერებისადმი, ამიტომაც არის ასეთი მწარე ირონიით დაწერილი „ჯონ ბულის მეორე კუნძული“. პიესის მთავარი გმირის მოლიბერალო ბროდბენთის ყოველი სიტყვა გესლიანი პაროდიაა იმ ფარისევლურ ფრაზებზე, რომლებითაც იმპერიალისტები თავიანთ კოლონიურ პოლიტიკას „დახმარებად“ და „ხელმძღვანელობად“ ასაღებენ.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შოუმ ბევრი ომი ნახა. ღრმა მოხუცებული, იგი მეორე მსოფლიო ომსაც მოესწრო. მხცოვანმა მწერალმა დაინახა მთელი სიდიადე და სამართლიანობა საბჭოთა ხალხების ბრძოლისა ფაშიზმის წინააღმდეგ. „როდესაც რუსეთი გაანადგურებს ჰიტლერს, იგი მსოფლიოს სულიერი ცენტრი გახდება“. მისი დაჯერებული კილო მოწმობდა, რომ ომის პირველი წლის მძიმე თვეებზეც კი შოუს ეჭვი არ ეპარებოდა, თუ ვის სასარგებლოდ დასრულდებოდა ეს ტიტანური ბრძოლა.

რუსეთმა — ტოლსტოის, ტურგენევის, ჩეხოვისა და გორკის სამშობლომ — ადრევე მიიპყრო შოუს ყურადღება. ჩეხოვმა შოუს დრამატურგიაზეც მოახდინა გავლენა. 1913 წელს შოუმ დაიწყო და უკვე რევოლუციის შემდეგ დაამთავრა პიესა „გულსაკლავი სახლი“. შოუმ თვითონ უწოდა მას „რუსული ყაიდის ფანტაზია ინგლისურ თემებზე“. ამ პიესაში გარკვევით მოისმის ჩეხოვისებური ინტონაციები. 1944 წელს ჩეხოვის იუბილეასთან დაკავშირებით შოუ თვითონ წერდა: „დიდი ევროპელი დრამატურგების — იბსენის თანამედროვეთა პლეადაში ჩეხოვი ბრწყინავს, როგორც პირველი სიდიდის ვარსკვლავი... ჩეხოვის გაელენით მე დავწერე პიესა... იმედი მაქვს, რომ ჩემი რუსი მეგობრები მას მიიღებენ, როგორც ჭეშმარიტად გულწრფელი თაყვანისცემის ნიშანს მათი ერთ-ერთი უდიდესი პოეტ-დრამატურგისადმი“. ინგლისური კრიტიკის შეფასებით „გულსაკლავი სახლი“ შოუს საუკეთესო პიესად ითვლება მხატვრული სიმწიფისა და ფაქიზი ნიუანსების მხრივ. დიდი რუსი მწერლების შემოქმედება შოუს მიაჩნდა უაზრო ლოზუნგის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — საუკეთესო უარყოფად. თვითონ შოუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდა დეკადენტებს და „წმინდა ხელოვნების“ მათს იდეალს. „მე თითსაც არ გავანძრევ, — წერდა შოუ, — ისეთი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად, რომელიც მხატვრულ ღირსებათა მეტი არაფერი იქნება“. თავის ერთ-ერთ პოლემიკურ სტატიაში შოუ ამბობდა: „უიდეებოდ პიესას არსებობა არ შეუძლია... პიესის ხარისხი მისი იდეების ხარისხია“.

საბჭოთა კავშირი შოუს სიმპათიებით სარგებლობდა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე. შოუ ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი მწერალი იყო ევროპაში, რომელმაც ხმა აიმაღლა საბჭოთა კავშირის დასაცავად ჯერ კიდევ ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში. მან საკუთარი თვალით ნახა საბჭოთა კავშირი 1931 წელს. შოუ ყოველთვის მზად იყო სოციალიზმის ქვეყნის მტრების გველური სისინი ჩაეჩუმებინა. „საბჭოთა კავშირი უდიდესი პოზიტიური ფაქტორია; საბჭოთა მთავრობა ერთადერთი მთავრობაა, რომელიც იდეალის სახელით მუშაობს, იგი არჩეულია ხალხის მიერ ხალხისათვის... რუსეთი დიდი ქვეყანაა. მას მართვენ დიდი ნიჭისა და თავისუფალი აზროვნების ადამიანები იმ სისტემის მიხედვით, რომლის დროსაც ადგილი არა აქვს არც კერძო ინტერესების შეჯახებას, არც ჩვენი სპარლამენტო მანქანის დამბლადამცემ სიზანტეს... რუსეთი ძლიერია არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც“. — ასე უპასუხებდა შოუ საბჭოთა კავშირის მტრებს.

ბერნარდ შოუ საბჭოთა ქვეყნის მეგობრად დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. ამიტომ არის, რომ, თავისი შეცდომების მიუხედავად, ბერნარდ შოუ ასე ახლობელი, ასე საყვარელია საბჭოთა მკითხველისათვის. ამიტომ იდგმება ასე წარმატებით საბჭოთა სცენაზე მისი „პიგმალიონი“, „მისის უორენის პროფესია“ და სხვ. ამიტომ აღინიშნება ასე ფართოდ დღეს საბჭოთა კავშირსა და მრავალ სხვა ქვეყანაში, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბერნარდ შოუს დაბადების ასი წლისთავი.

მზეჭალა შანიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მოსკოველ მსახიობთა შეხვედრა ჩარხმშენებლებთან

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კლუბში ამ დღეებში გაიმართა ჩარხმშენებლებისა და მათი ოჯახის წევრების შეხვედრა მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივთან, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება საგასტროლოდ. ჩარხმშენებლები კარგად იცნობენ თეატრის შემოქმედებითს გზას. ბევრმა მათგანმა უკვე ნახა თეატრის საგასტროლო სპექტაკლები თბილისში.

მოსკოველი სტუმრების სახელით ჩარხმშენებლებს მიესალმა თეატრის დირექტორი ნ. სტრელცოვი. შემდეგ მან ილაპარაკა თეატრის კოლექტივის შემოქმედებითს მიღწევებზე და მომავალ გეგმებზე, მასპინძლებს გაუზიარა მიღებული შთაბეჭდილებები და აღნიშნა, რომ საქართველოს ჩარხმშენებლებთან შეხვედრა ხელს შეუწყობს ქართველი და რუსი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ თეატრის მსახიობებს რ. პლიატს, ო. იაკუნინას, ნ. პარფენოვას, ა. პეტროსიანს, ლ. ტოლმაჩევას, ვ. გორდეევასა და სხვებს, რომლებმაც შეასრულეს სცენები სხვადასხვა პიესებიდან.

ქარხნის კოლექტივის სახელით საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ მადლობა გადაუხადა თეატრის კოლექტივს. ჩარხმშენებლებმა მოსკოველ სტუმრებს მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგული, ქარხანაში დამზადებული ნივთები და ვიმპელი სამახსოვრო წარწერით.

ინჟინერი დ. გრეენი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საკდესი). ამ ბოლო დროს ამერიკის პრესის ნაწილი ცილისწამების კამპანიას ეწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომელთა წინააღმდეგ. ეს კამპანია ინსპირირებულია ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების მიერ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარებას. ამ კამპანიას ტონს აძლევს სენატის საშინაო უშიშროების საკითხთა ქვეკომისია სენატორ ისტლენდის მეთაურობით.

ამ ცილისწამების კამპანიის გასაღვივებლად სენატის კომისია იყენებს „მოწმეებს“ საბჭოთა კავშირის მოღალატეთა რიცხვიდან, რომლებიც ომის წლებში ჰიტლერელებთან თანამშრომლობდნენ, ხოლო ამჟამად შეერთებულ შტატებში არიან. ერთ-ერთ ასეთ „მოწმედ“ ქვეკომისიაში ამას წინათ გამოვიდა სამშობლოს მოღალატე ვიმშე შატოვი, რომელიც ჰიტლერელებთან მსახურობდა და ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი წევრია ანტისაბჭოთა ორგანიზაციისა, რომელსაც მფარველობას უწევენ ამერიკის ხელისუფალნი.

თავის „ჩვენებებში“ შატოვი სავსებით გარკვეული მიზნით ცდილობდა სახელი გაეტეხა საბჭოთა თანამშრომლების რ. შაპოვალოვისა და ა. პეტუხოვის საქმიანობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. შატოვის ინსპირირებულ ცილისმწამებლურ „ჩვენებებს“ ხელი ჩასჭიდა ამერიკის პრესის ნაწილმა იმისათვის, რომ ჩრდილი მიეყენებინა ამ საბჭოთა თანამშრომლების საქმიანობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამ ცილისწამების კამპანიის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობამ 24 ივლისს გაავრცელა შემდეგი განცხადება პრესისათვის:

იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის პრესაში დაიბეჭდა ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ერთ-ერთ ქვეკომისიაში ვინმე შატოვის ჩვენებათა შესახებ, რომელიც ცდილობდა ჩრდილი მიეყენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლის რ. შაპოვალოვისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომლის საბჭოთა მოქალაქის ა. პეტუხოვის საქმიანობისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ შატოვის მტკიცებანი არავითარი საფუძველი არა აქვს და თავიდან ბოლომდე მოჩვორილია.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ შატოვის ეს „ჩვენებები“ წარმოადგენენ იმ ცილისმწამებლური კამპანიის კიდევ ერთ ეპიზოდს, რომელსაც ამ ბოლო დროს ამერიკის პრესის ნაწილი ეწევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომელთა წინააღმდეგ და, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ინსპირირებულია წრეების მიერ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარებას.

ცნობა იუგოსლავია-კამბოჯის მოლაპარაკების შესახებ

ბელგრადი, 24 ივლისი. (საკდესი). ბელგრადის გაზეთები აქვეყნებენ ოფიციალურ ცნობას იუგოსლავია-კამბოჯის მოლაპარაკების შესახებ, რომლისაც ხელი მოაწერეს ბელგრადში მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ.

ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულად განხორციელება კამბოჯის მხრივ დადმინშვნელოვანი წვლილია მსოფლიოს ამ ნაწილში მშვიდობის შესანარჩუნებლად. იუგოსლავიის მთავრობა მთლიანად ეთანხმება ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებებს კამბოჯის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის შესახებ.

ორივე მხარეს მიაჩნია, აღნიშნულია ოფიციალურ ცნობაში, რომ მსოფლიოს დაყოფა ბლოკებად საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას და რომ ასეთი დაყოფა აბრკოლებს საკითხთა შეთანხმებული გადაწყვეტისა და ხალხთა დაახლოების მიღწევას.

ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ აქტიური და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც მათი მთავრობები ახორციელებენ, ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილიზაციას და საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებას.

ცნობაში აღნიშნულია, რომ კამბოჯის დელეგაციას ბელგრადში მოლაპარაკება ჰქონდა საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ს. ვუკმანოვიჩთან ორივე ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ. იუგოსლავიამ განაცხადა, რომ მზად არის, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, გაუწიოს ამ მხრივ დახმარება კამბოჯას. გარდა ამისა, ორივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ უკეთესი გაცნობისა და უფრო სრული ურთიერთგაგებისათვის.

მოლაპარაკებისა და ოფიციალური ცნობის ხელმოწერის შემდეგ დღეს დილით კამბოჯის პრინცი ნოროდომ სიანუკი ბელგრადიდან პარიზში გაფრინდა.

„ჩვენ არ დავემორჩილებით არც ღოღარს, არც ძაღლს“

ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის განცხადება

კაირო, 24 ივლისი. (საკდესი). დღეს კაიროს გარეუბან ბუსტოროდში გაიმართა სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და სუეც-კაიროს ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონია.

ცერემონიას „დაესწრნენ პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი, მთავრობის წევრები, კაიროში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

პრეზიდენტმა ნასერმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ინტერესებისათვის. ამ დღეებში, თქვა ნასერმა, ეგვიპტე დღესასწაულობს თავისი რევოლუციის მე-4 წლისთავს. ეგვიპტე თავისი გზით მიდის თავისი მიზნის მიღწევისაკენ, აქვს რა მხოლოდ საკუთარი თავის, თავისი ძალებისა და თავისი რესურსების იმედი. ეგვიპტე ცდილობს მაღალწიოს ეკონომიურ დამოუკიდებლობას, როგორც მაღლია პოლიტიკურ და სამხედრო დამოუკიდებლობას. ეგვიპტე მიდის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით, იბრძვის წარმოების გადიდებისათვის, თავისი ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდისათვის. წარმოების მოცულობა წლითიწლობით იზრდება. 1952 წლიდან 1954 წლამდე წარმოების მოცულობა ეგვიპტეში 16 პროცენტით გადიდდა. იგი ასეთივე ტემპით იზრდება ახლაც. ეს იმას მოწმობს, რომ ეგვიპტე მიდის პროგრესის გზით, სრული ეკონომიური დამოუკიდებლობისაკენ.

ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას იმპერიალისტთა და ყველა იმათ პროპაგანდას, ვისაც სურს წაგვართვას თავისუფლება და დაიმონოს ხალხი. ჩვენ გვწამს ეგვიპტე და მისი მომავალი. თუ ვაშინგტონში იწყებენ ხმაურს და უსინდისოდ ამტკიცებენ, რომ ეგვიპტის ეკონომიკა მტკიცე არ არის, ჩვენ მათ ვუპასუხებთ კაიროდან: თქვენ ვერ შეძლებთ ჩვენს დამონებას. ჩვენ ვიცით ჩვენი მიზნები და მივდივართ ჩვენი გზით, თავისუფლების, პატიოსნებისა და ღირსების გზით. დაე ვაშინგტონში ილაპარაკონ, რაც სურთ. ჩვენ მათ ვუპასუხებთ, რომ არასოდეს არ მივცემთ ნებას იმპერიალისტებს დაამყარონ ჩვენს მიმართ პოლიტიკური, სამხედრო ან ეკონომიური ბატონობა. ჩვენ არ დავემორჩილებით არც დოლარს, არც ძალას. ეგვიპტე შეძლებს დაიცვას თავისი სრული დამოუკიდებლობა. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ჩვენი თავის იმედი. ჩვენ უკვე მივაღწიეთ წარმატებებს და ჩვენ გავიმარჯვებთ!

თურქმენეთის ხალხური ცეკვის ანსამბლი თბილისში

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თურქმენეთის სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ოქტომბრის რევოლუციამდე თურქმენ ხალხს საკუთარი ეროვნული ქორეოგრაფია არ გააჩნდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩამოყალიბდა და განვითარდა მისი ხელოვნება. 1942 წელს თურქმენეთში შეიქმნა მოცეკვავეთა ჯგუფი ი. ბოიკოს ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფის ბაზაზე დაარსდა ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 68 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს დემოკრატიული ახალგაზრდობის პრაღის ფესტივალის ლაურეატი ტანხო იზრაილოვი.

პირველად ანსამბლმა თავი ისახელა თურქმენეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1955 წლის აგვისტოში. იქ იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ანსამბლი სისტემატურად აწყობს საგასტროლო მოგზაურობას მოკავშირე რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქში. წელს ეწვია და კონცერტები უჩვენა შავი ზღვის საკურორტო ქალაქების მცხოვრებლებს.

ანსამბლი არ იზღუდება ეროვნული ცეკვებით, მისი რეპერტუარი მრავალფეროვანია. პროგრამაში აქვს როგორც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ქორეოგრაფიული ნიმუშები.

თურქმენეთის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი პირველად იმყოფება ჩვენს დედაქალაქში. მან 24 ივლისს ოფიცერთა სახლის საზაფხულო თეატრის შენობაში თბილისელ მაყურებელს ფართო პროგრამით უჩვენა თავისი პირველი კონცერტები.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა რამდენიმე თემატური ნაწილისაგან შემდგარმა ეროვნულმა მასობრივმა ცეკვამ „მებამბეებმა“, რომელშიც ასახულია შრომის პროცესი. ანსამბლის პროგრამაში შეტანილია აგრეთვე უანრული ქორეოგრაფიული სურათები. შესრულებულ იქნა რუსული ხალხური ცეკვა „სურათები წარსულიდან“. ამ ცეკვის საშუალებით მსახიობებმა გამოავლინეს საცეკვაო ტექნიკის მაღალი ოსტატობა. კარგად იქნა წარმოდგენილი ქართული ცეკვა „ხორუმი“.

ანსამბლის მსახიობებიან შესრულების ოსტატობის მხრივ გამოირჩევიან: ზ. ამანოვა, ა. მამედოვა, რ. მელიკოვა, ე. კულბანოვი, მ. კარაჯაევა, მ. იზრაილოვი, ა. კურბანოვი, ა. ტუხვატულინი, ა. ამინოვი, ბ. რახიმოვი, ა. ტაშლიევი და სხვ.

კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. თურქმენეთის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 31 ივლისამდე დარჩება თბილისში. შემდეგ იგი ერევანში გაემგზავრება.

* * *

სურათზე: თურქმენეთის სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის წევრები ასრულებენ „ქალთა ცეკვას“.

სპორტის ამბები

ფრენბურთელთა შეჯიბრება

მოსკოვი, 25 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის ფრენბურთის მოედნებზე მიმდინარეობდა მორიგი შეჯვედრები. მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ბელორუსიისა და აზერბაიჯანის ქალთა გუნდების შეხვედრა. მატჩი დამთავრდა ბელორუსიის ფრენბურთელთა ხაკრები კოლექტივის გამარჯვებით 3:2.

საქართველოს ქალთა გუნდი თამაშობდა კარელიის ასსრ ფრენბურთელთა წინააღმდეგ. გამარჯვება საქართველოს სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1 (13:15, 15:9, 15:1). ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელ ქალთა გუნდს, რომელიც ქვეჯგუფში გათამაშებულ სწინებული ხუთი შეჯვედრიდან სამი უკვე მოიგო, ფინალში მონაწილეობის და საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის დიდი შანსი აქვს.

უკანასკნელ ორ მატჩს საქართველოს სპორტსმენი ქალები ჩაატარებენ აზერბაიჯანისა და ლენინგრადის გუნდებთან.

25 ივლისს ლენინგრადის ვაჟთა გუნდმა მოიგო მოლდავეთის ფრენბურთელებს 3:0. წარმატებით იბრძვის მოსკოვის ვაჟთა გუნდი, რომელსაც არც ერთი დამარცხება არა აქვს. ღღეს მოსკოველებმა მოუგეს ტაჯიკეთის გუნდს 3:0.

მრავალდღიანი ველოსიპედი

პოლტავა, 25 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ერთი დღის შესვენების შემდეგ მრავალდღიანი ველოსიპედის მონაწილეებმა ხარკოვიდან პოლტავისაკენ აიღეს კურსი. ეს ასპარეზობის მეხუთე ეტაპი იყო, რომლის დისტანცია 168 კილომეტრს შეადგენდა. მალე სპორტსმენები რამდენიმე ჯგუფად გაიყვნენ. წინ გაიჭრა მოსკოველი სპორტსმენი კაპიტანოვი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაუსწორო მოწინააღმდეგეებს და პირველი ადგილი დიაკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა იუჩკოვი (რსფსრ ნაკრები), მესამეზე — ავალიანი (სომხეთი). გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არის დედაქალაქის სპორტსმენთა კოლექტივი.

საქართველოს ველოსიპედისტთა სპორტული მაჩვენებლები დაბალია, მეხუთე ეტაპზე მათ მეთხუთმეტე ადგილი დიაკავეს.

ღღეს სტარტი მიეცა ველოსიპედის მეექვსე ეტაპს, რომლის მარშრუტია პოლტავა—ლუბნი.

„კოლმეურნის“ პირველობა ქართულ ჭიდაობაში

ამას წინათ ხაშურში დამთავრდა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გორის, ხაშურის, გარეჯნის, დუშეთის, კასპისა და ქარელის გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: უმაჩატეს წონაში — გ. მეზვრიშვილმა (ფეხეთი), მჩატე წონაში — ა. ჯონიშვილმა (გორი), ქვემსუბუქ წონაში — გ. სიმონიშვილმა, მსუბუქში — ა. სანიკიძემ, ქვესაშუალოში—გ. ფირცხელაურმა (სამივე გარეუბნის რაიონიდან), საშუალოში — ჯ. ვარდოევმა, ქვემძიმეში — გ. ქარქუსაშვილმა (ორივე კასპიდან), მძიმეში — ვ. ნასყიდაშვილმა (გორი).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა გარეუბნის რაიონის მოჭიდაკეთა გუნდი, მეორეზე — კასპის და მესამეზე — გორის გუნდები.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ღ ღ ე ს
თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — გადაეცემა ღღე, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ძვირფასი სარეკლამო, **სპარტაკი, კომკავშირელი, ისანი** (საზაფხულო), **კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — სასტუმროს შიკრიკი, **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ჩემი ქალიშვილი ვენაში ცხოვრობს, **კოლხიდა** (საზამთრო), **დიდუბე** (საზაფხულო) — სატრფოს მანდილი, **ოფიცერთა სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ერთი ჭიქა ლუდი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა აცხადებს მიღებას 1956-57 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე:

1. **ვოკალური, 2. საორკესტრო** — ა) სასულე დარგი: — ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ვალტორნა, ტრომბონი, ბ) სიმებიანი დარგი — კონტრაბასი. **3. სადირიჟორო-საგუნდო.**

ვოკალურ განყოფილებაზე მიიღებიან ახალგაზრდები 17-დან 25 წლის ასაკამდე. საორკესტრო განყოფილებაზე — 14-დან 17 წლამდე ასაკისა.

სადირიჟორო-საგუნდოზე მიიღებიან ახალგაზრდები 14 წლის ასაკიდან, რომლებსაც აქვთ მუსიკალური განათლება არანაკლებ ოთხი კლასისა.

გამოცდაზე დაიშვებიან ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ზოგადი განათლება არანაკლებ 7 კლასისა.

განცხადებები მიიღება ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში (თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 42, ტელეფონი 3-01-14) 10 აგვისტომდე, ღღის 12 საათიდან 5 საათამდე.

მასწავლები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა, მეტრიკა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი და დახასიათება სკოლიდან.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და ორჯერადი კვებით.

დაწვრილებითი ცნობ